

"ჩვენ გვინდა ვიმგზაუროთ ყირიმში, კავკასიაში და
ჩავიდეთ თაბილისში, ეს მოგზაურობა ჩემთვის
ხელსაყრელია."

































ონორე დე ბალზაკი. პირადი მიმოწერა 1847 წ.



ଅନ୍ତଃ-କଣ୍ଠକର

" - ଯାରିଦା!"

ସାହୁରନ୍ଦରେ ଧାତର ମାଲରାଜୀ ଧା ଗିନରଗୁ ମିରଚିଶ୍ଵିଳି



იყო ასთი ქალაქი

Digitized by srujanika@gmail.com

სულ რამდენიმე ნაბიჯზე იმ სახლი-დან, სადაც ლეგენდარული შალვა ჯავახაძე ცხოვრობს, იმ თბილისელი მეწალის ჯიხურა, რომელიც მარია კალასის ფოტოებითა აჭრელებული თავად მენაღე კი, თბილისელ ხელოსანთა შორის ერთადერთია, ფეხ-საცმელების გაცოცხლების პარალელურად, საოპერო არიებს რომ ლილინებს და კლინგტებს ქველებურად ულიმის. ახლა ის ერთადერთი ხელოსანია, ვისაც ძველებურად უყვარს საოპერო ხელოვნება და მარია კალასის შესახებ თითქმის იმდენივე იცის, რამდენიც ბატონმა გოგი ნიუარაძე. მაგრამ ერთი საუკუნის, საუკუნენახევრის წინ, ტფილისის ნებასმიერმა ხელოსანმა (ნებისმიერი ამქრის), ზეპირად იცოდა ერთი ან რამდენიმე არია იმ საყვარელი საოპერო სპექტაკლიდან, რომელიც ტფილისის ოპერის სცენაზე იდგმებოდა. ვისაც ზემოთქმული ჩვენი პატრიოტიზმის გადაჭარბებულ გამოვლინებად მოერვენება, შეუძლია იმ უცხოელ ავტორებს (კიდევ ერთხელ) გაეცნოს, ვინც გასულ საუკუნეში ჩვენს ქალაქს ესტუმრა და იმ ტფილისელი მეტზოვებით აღფრთოვანდა, დილაობით ცოცხით ხელში, სწორედ იმ არიებს რომ ლილინებდნენ, რაც წინა საღამოს თეატრის სცენიდან ისმოდა. ტფილისის საოპერო თეატრის თავგადასავალი XIX საუკუნის ტფილისისა და საქართველოს ისტორიის ერთი უცნაური ფურცელია უცნაური დასაწყისითა და უცნაური დასასრულით. იდეა ახალი, საოპერო თეატრის აგებისა, ქართველებს არ ეკუთვნოდათ და გასულ საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა ზუსტად ამოიცნო გზა, რომელიც ამბოხებულ ქართველ თავად-აზნაურობას რუსეთის მეკავშირედ და, რაც მთავარია, შემგუებელ ძალად აცევდა. ვორონცოვმა, როგორც ჩანს, ზუსტად მიაგნო აქილევსის ქართულ ქუსლს და რამდენიმე გზის აჯანყებული თავად-აზნაურობა, სწორედ ვორონცოვის დროს, რუსეთის იმპერიის ყველაზე ერთგულ ქვეშვერდომად იქცა. რამდენიმე (იშვიათ) გამონაკლისთა გარდა, რუსეთის მოძულე თაობამ, სწორედ რუსული მედლებითა და ორდენებით დაიმშვენეს ქართული გულ-მკერდი და იოლად და სწრაფად დაიჯერეს, რომ ტფილისა და საქართველოში, ურნალ-გაზეთებისა თუ თეატრების დაარსება, რუსთ ხელმწიფის წყალობისა და სიყვარულის ნიშანი იყო ქართველთა მიმართ. რასაკვირველია, იმ იშვიათ გამონაკლისთა შორის, ვინც რუსულ ჩინსა და ეპოლეტებზე არ გაცვალა ქართული ჩოხები, მაშინვე ამოიცნეს ვორონცოვის მზაკვრობა, მაგრამ უმრავლესობის გადარწმუნება ვეღარ შეძლეს. უმრავლესობას კი სჯეროდა, რომ ყველა კულტურული წამოწყება ტფილისში ქართული ბედნიერებისათვის კეთდებოდა და არა იმ ქართველთა თვალის ასახვევად და დასამშვიდებლად, ვინც მთელი ცხოვრება რუსეთის უღელს ებრძობა საქართველოში. საოპერო თეატრის იდეასაც სწორედ ეს მიზანი ჰქონდა - ქართულ არისტოკრატისა (და არა მარტო არისტოკრატიას) ოპერაში სიარულით თავი შეექცია და უმთავრეს საზრუნვაზე აღარ ეფიქრა. ქართული აჯანყებითა და შეთქმულებებით თავმობეზრებულ რუსეთის იმპერატორს ძალიან მოეწონა ქართული პრობლემის მოგვარების ეს მტკიცებული გზა და სიხარულით დათანხმდა ტფილისის საოპერო თეატრის დაარსების იდეას. ოპერა უნდა ყოფილიყო იტალიური და შენობა უნდა აეცო თამამშევს, რომელმაც მინა ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა, როგორც მაშინდელი გაზეთები იუწყებოდნენ "ორ დოშად და ორ საკაბედ". როგორი დაუკერებელიც არ უნდა იყოს, დღევანდელი თავისუფლების მოედნის ტერიტორია, ქართველმა თავადმა ესტატე ციციშვილმა იმდენად იაფად მიჰყიდა სომხე დიდგვაფარს, რომ პატონი თამამშევი, კარგა ხანს, თვითმხილველთა გადმოცემით, გაოგნებული ყოფილა. თვითმხილველთა თამამშევს, რომელმაც მინა ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა, როგორც მაშინდელი გაზეთები იუწყებოდნენ "ორ დოშად და ორ საკაბედ". როგორი დაუკერებელიც არ უნდა იყოს, დღევანდელი თავისუფლების მოედნის ტერიტორია, ქართველმა თავადმა ესტატე ციციშვილმა იმდენად იაფად მიჰყიდა სომხე დიდგვაფარს, რომ პატონი თამამშევი, კარგა ხანს, თვითმხილველთა გადმოცემით, გაოგნებული ყოფილა. თვითმხილველთა თამამშევს, რომელმაც მინა ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა, როგორც მაშინდელი გაზეთები იუწყებოდნენ "ნაშუადღევს თბილისში, კოკის წირული წვერი, მუხანის სევის გავლით მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე. სწორედ საოპერო თეატრის გახსნის წინ, "ნაშუადღევს თბილისში, კოკის წირული წვერი, მუხანის სევთან". გაზეთ "კავკაზის" ამ ინფორმაციას ზეპირგადმოცემაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც ოპერის გახსნას, სოლოლაკებიდან ჩამოვარდნილი წყალი, მუხანის სევის გავლით მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე. სწორედ საოპერო თეატრის გახსნის წინ, "ნაშუადღევს თბილისში, კოკის წირული წვერი, მუხანის სევთან". გაზეთ "კავკაზის" ამ ინფორმაციას ზეპირგადმოცემაც ადასტურებს, რომლის თანახმადაც ოპერის გახსნას, სოლოლაკებიდან 1851 წლის 24 აპრილს მოხდა. შენობა ნარმოადგენდა ოთხსართულიან ნაგებობას, რომლის არქიტექტორიც გახლდათ იმავე წელს ტრაგიკულად დაღუპუ-



ნაწილში მოთავსდა შენობისა, რომელიც თამამშევის დაუქინებული სურვილით უპირველესად უნდა აქტებულიყო როგორც ქარვასლა. და ეს გასაგები გახლდათ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი მიზნები ჰქონდა და თვითონ თამამშევს - ქართული თეატრისა და კულტურის აღორძინება-განვითარებაზე დარდი რომ არა სტანჯავდა, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ იმ დროისათვის უმდიდრეს სომებს, არათუ ქართული, სომხური თეატრის დარდიც ნაკლებად ჰქონდა, მიუხედავად ტფილისელ სომებთა არაერთგზის თხოვნისა, სომხებს მაინც დახმარებოდა, კაპიკიც რომ ვერ გააგდებინეს ბატონ თამამშევს, მასაც იგივე გაუკეთეს, რაც სოვდა-გარ მანათაშოვს - სომხურმა თეატრმა თავის სცენაზე დადგა გაპრიელ სუნდუკიანცის პიესა "ოსკან პეტროვიჩი საიქონის" და იმ წუნურაბ მდიდარს, ჯოჯოხეთის დიდ ქვაბში რომ თუხთუხებდა, თამამშევის ვრიმი გაუკეთეს. თამამშევი სცენაზე იხარშებოდა, მიველეთ - ყვიროდა, რადა მტანჯავთ ასე სასტიკადო და ჯოჯოხეთის ხელმძღვანელობა ნიშნის მოგებით პასუხობდა - იმიტომ, რომ ტფილისის სომხურ თეატრს დახმარება არ გაუნიერ. ამბობენ, რომ დარბაზში მჯდარ თამამშევზე ამ სცენის ხილვას არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია, განსხვავებით მანთაშოვისაგან, რომელიც სპექტაკლის დამთავრებისთანავე, კული-სებში შესულა თურმე და კარგა დიდი თანხაც შეუნირავს მშობლიური თეატრისათვის. თამამშევი კი, აუდელვებლად წასულა შინ და რა გასაკვირია, რომ ქართული თეატრის მიმდებარება - იმიტომ, რომ ტფილისის სომხურ თეატრს დახმარება არ გაუნიერ. ამბობენ, რომ დარბაზში მჯდარ თამამშევზე ამ სცენის ხილვას არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენია, განსხვავებით მანთაშოვისაგან, რომელიც სპექტაკლის დამთავრებისთანავე, კული-სებში შესულა თურმე და კარგა დიდი თანხაც შეუნირავს მშობლიური თეატრისათვის. თამამშევი კი, აუდელვებლად წასულა შინ და რა გასაკვირია, რომ ქართული თეატრის მიმდებარება - იმიტომ, რომ ტფილისის იმდენი მოყვარული აღმოჩნდა, რომ არასდროს, არც ერთ წარმოდგენაზე, პარტერსა თუ ლოუბში, არც ერთი თავისუფალი სკამი არ დარჩენილა. ოპერის მოყვარულთ კი, სანამ დარბაზში შეაღწევდნენ, ის მაღაზიები უნდა გაევლოთ, რომელთა გამო სიხამდვილეში ააგო კიდეც ქარვასლა ბატონმა თამამშევმა. თამამშევს ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის თბილისელ მსახურთ - ქართველები ოპერას შეიყვარებენ, იმპერატორის მადლიერნიც დარჩებიან და თავისუფლებაზე ფიქრსაც შეეშვებიანო. საფუძველი ზემოთქმულისა კი, უდავოდ ჰქონდათ - თბილისის იტალიური ოპერის თეატრი ახალი გახსნილი იყო, დიდი შამილის ლეგენდარული, მაგრამ რუსეთის მიერ გადაბირებული ნაიბი, ჰაჯი-მურადი თბილისში რომ ჩამოიყანეს. იმ საღამოს ვინჩენცო ბელინის "ნორმა" უნდა წარმოედგინათ და "ნორმას" თბილისელთა უკვე საყვარელი სოპრანო, მშვენიერი ჯულია მინოცი მღეროდა. სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, გაჭაბეჭახებულ დარბაზში მაღალჩინოსან რუსებთან ერთად ჰაჯი-მურადი შემოვიდა, პარტერში კუთვნილი, საპატიო ადგილი დაიკავა და სინათლეც ჩაქრა. სინათლის ჩაქრობისთანავე (როგორც შემდეგ თვითმხილველი ჰყვებოდნენ) ახალგაზრდა, თეთრ ჩიხაში გამოწყობილი ქართველი თავადი წამოდგა და ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად, ჰაჯი-მურადს, როგორც მოღალატეს, დედა შეაგინა. ჩევენი სპექტაკლისათვის სპეციალურად პარიზიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ჭალი სასწრაფოდ აანთეს, დაცვაც გამოიძახეს, მაგრამ ჰაჯი-მურადის ღალატით აღმფოთებული ქართველის ვინაობა ვერ დაადგინეს, არანაკლებ აღმფოთებულმა პუბლიკამ მხოლოდ ის დაადასტურა, რაც სიბწელეში შენიშნა - თეთრი, თავა-

ინც მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თე-ატრის შენობა ისე დატოვა, სპექტაკ-ლი არ უნახავს. მან იცოდა, რომ სა-ქართველოში ვიღაც მაინც ჩათვლი-და მოლალატედ, მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა გადაპირება სწორედ ქართველებისგან დაიწყეს, მაგრამ არ იცოდა, რომ გალიორკა გალიორ-კა და ის თავისი წესებით ცხოვრობს - იქაც კი, სადაც ოპერა მოიგონეს. მან არ იცოდა, რომ "ლასკალაშიც" კი შეიძლება იგივე მოხდეს და ასორ-მოცი წლის შემდეგ ზუბინ მეტას დი-რიუორობისას, სრულიად უწყინარი შეცდომის გამო, "ლასკალას" გალი-ორკიდან ჯერ ხმამაღლალი სტენის ხმა გაისმება და მერე იგივე ხმა არც-თუ კეთილდად მოიხსენიებს ზუბინ მეტას დედას. ზუბინ მეტა შეწყვეტს დირიუორობისას, დარბაზის სკენ შეძ-რუნდება და განსაკუთრებით "გალი-ორკის" გასაგონად იტყვის, რომ ეს არის "ლასკალა" - მექა მსოფლიო სა-ოპერო ხელოვნებისა და აქ უკადრე-ბელი არ უნდა იკადროს არავინ. "თქვენც ნუ იკადრებთ იმას, რაც არ ეკადრება "ლასკალას" - უპასუხებს იგივე, დაუნდობელი ხმა "გალიორ-კიდან" და წარმოდგენა აღარ გაგრ-ძელდება.

თბილისის საოპერო თეატრში კი იმ საღამოს, როცა ჰაჯი-მურადმა ქარვასლა დატოვა, სპექტაკლი მა-ინც გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის დაწყება დაგვიან-და - თუმცა არა ლეგენდარული ნაი-ბის, არამედ ულამაზესი ქართველი ქალბატონის მაიკო ორბელიანის გა-მო, რომელსაც თეატრში გული წაუ-ვიდა. ჰარტერში იმდენი მონდომე-ბული დამტმარე აღმოჩნდა, რომ მა-რაოთა სიმრავლემ (როგორც მოგვი-ანებით გაირკა) ფილტვების ანთება დამართა მაიკო ორბელიანს. მოგვია-ნებით, ჭორების მოყვარულმა თბი-ლისელებმა ისიც თქვეს, კნეინა ორ-ბელიანზედ ჰაჯი-მურადის შეუ-რაცხყოფამ იმდენად იმოქმედა, შე-უძლოდ შეიქნაო - ალბათ ის ლამე გა-ახსენდა, საქართველოში იმპერატ-რის სტუმრობისას, ქართველებმა პატივისცემის ნიშნად, ნიკოლოზს რომ მითგვარესო. იქვე იმითაც იმხ-ნევებდნენ თავს, იმ დამეს იმპერა-ტორი ისეთი მთვრალი გახლდათ, მა-იკო ორბელიანის სიმშვენიერეს ვე-ლარც შეამჩნევდაო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუ-სულ ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ლევ ტოლსტოიმ თბილისის პერის თეატრში ჰაჯი-მურადი ნახა (და მოგვიანებით ამიტომაც წიგნი დაწერა მასზედ), სინამდვილეს არ შეეფერება. გრაფ ტოლსტოის ჰაჯი-მურადი, არათუ ცოცხალი, მკვდა-რიც არ უნახავს - როცა ლეგენდა-რული ნაიბის მოჭრილი თავი თბი-ლისში ჩამოიტანეს და ჰოსპიტალში დასვენეს. ჰაჯი-მურადის მოჭრილი თავი უამრავმა ტფილისელმა ნახა (როგორც დამთვალიერებელმა), მაგრამ მნახველთა შორის ნამდვი-ლად არ იყო ლევ ტოლსტოი. თუმცა ტფილისში ნამდვილად იყო რუსი გრაფი და წიგნის შექმნის იდეაც სა-ქართველოში პირველად სტუმრო-ბის დროს გაუჩნდა, სწორედ მაშინ დაინტერესდა ჰაჯი-მურადის თემით და უამრავი მასალაც შეაგროვა, მაგ-რამ პირადად იგი არასოდეს უნა-ხავს...

ქარვასლაში, ოპერის მოსასმენად კი, ნამდვილად დადიოდა ლევ ტოლს-ტოი და წერილებში ვერც მაღლავდა აღფრთოვანებას თეატრის გამო. თბილისის საოპერო თეატრით აღფ-რთოვანებული იყო ალექსანდრე დი-უმაც, მსოფლიოს ყველა ცნობილი თეატრი ნანახი რომ ჰექნდა, მაგრამ ჯიუტად იმეორებდა, რომ თბილისის პერას ვერაფერი შეედრებოდა დე-დამინის ზურგზე. ვერაფერი შეედ-რებოდა თბილისელ მაყურებელსა და მსმენელსაც, რადგან მაშინ, მართ-ლაც ძნელად მოიძებნებოდა ქალაქი,

უპირველესად იმას არკვევდნენ, სად და რამდენად შეიძლებოდა ზედ-მეტი ბილეთის შოვნა, რადგან ეროვ-ნული თუ რელიგიური, კულტურული თუ სოციალური სიქრელის მიუხე-დავად, ყველა თბილისელს, გასაო-ცარის მონდომებით სურდა სწორედ სცენიდან მოესმინა "La donna c mobile". სწორედ სცენიდან, რადგან თბილისის ქუჩებში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ისედაც ისმოდა "La donna c mobile", რომელსაც არა მხოლოდ მეთულუხებები ბავშვები მღეროდნენ ერების მოედანზე, თურმე დინჯი კახელი მედუქნებიც იგივეს ლილი-ნებდნენ და რა გასაკვირია, რომ ან-ტონიო ტორედელას ცოცხლად ნახ-ვის მსურველი მართლაც ბევრი იყო XIX საუკუნის თბილისში. იმასაც ამ-ბობდნენ, ანტონიო ტორედელა პარ-ტიტურის გარეშე, ზეპირად დირი-ჟორობს და არც ისაა გასაკვირი, რომ ჯუზეპე ვერდის "ტრუბადუ-რის" პრემიერის წინა დღეს, 1857 წლის 5 ოქტომბერს, კოკისპირულ წევმასა და მუხლამდე წყალში, მოთ-მინებით იდგნენ ტფილისელები ბი-ლეთების რიგში. საერთოდ კი, თბი-ლისის თეატრს ვერავინ ასწრებდა ახალი ოპერის დადგმას და მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში სწო-რედ თბილისში დაიდგა პირველად ბიზეს "კარმენიც" და პუჩინის "ჩიო-ჩიო-სანიც". იტალიური პრემიერა ჩვენს დედაქალაქში დაუჯერებელი სისწრავით მეორდებოდა როგორც წესი და, მაგალითად, "რიგოლეტოს" იტალიური პრემიერიდან უკვე ორ წელიწადში, 1853 წელს, თბილისშიც განხორციელდა "რიგოლეტოს" დად-გმა...

როგორც ჩანს, თბილისის მაშინ-დელი ოპერის მესურურებს სარეკლა-მო საქმეც კარგად სცოდნიათ და ამ მიზნით, იმ აბელასაც კი იყენებდნენ, ვისი გვარიც ისტორიაში არ შემოინა-ხა, მაგრამ ვიცით, რომ აბელა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ყველა-ზე მაღალი კაცი იყო ტფილისში და მის შესახებ სომებს მხატვარ ბაში-ჯანნლიანცს მოთხოვნაც კი აქვს და-ნერილი. აბელას შესახებ წერდა ილია ჭავჭავაძეც - წერდა ყველაზე მაღალი კაცის შესახებ ტფილისში, რომელიც ხის მაღალ ფეხებზე შემდ-გარი, მთელი დღე ქალაქის ქუჩებში დაბიჯებდა ხმაურით და ომახიანად ამცნობდა ტფილისის მოქალაქეებს, თუ რას შესთავაზებდა ოპერის თე-ატრი იმ საღამოს თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს. თვითმხილველ-თა გადმოცემით, ოჩოფეხებზე შემდ-გარი აბელას ნახვა, ყველაზე ხში-რად, ყველაზე ხალხმრავლ მოედ-ნებზე შეიძლებოდა, სადაც მას მუდ-მივად გარს ეხვეოდნენ ბავშვები და თვითმხილველთა აზრით, აბელა სწორედ ის კაცი იყო, რომელიც ნე-ბისმიერი ხასიათის ინფორმაციას ფლობდა თბილისში ნებისმიერი ადა-მიანისა თუ მოვლენის შესახებ. დაუ-ზუსტებელი (მხოლოდ ზეპირგადმო-ცემით შემონახული) ცნობის თანახ-მად, ლეგენდარული ჯუზეპე გარი-ბალდის ფოტოც, ილია ჭავჭავაძის სამუშაოა ოთახს რომ ამშვენებდა, ილიას დავალებით, სწორედ გრძელ-მა აბელამ მოიძია კამბიაჯოს ფო-ტოსტუდიაში. შემთხვევითი აღბათ არაფერია ამქვეყნად და მთუმეტეს ილია ჭავჭავაძე შემთხვევითი არ და-ინტერესდებოდა ჯუზეპე გარიბალ-დის პირვენებით, იმ ადამიანის პორ-ტრეტით, ვინც სწორედ იმ დროს ედ-გა სათავეში იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ თავად გარიბალდის ძალიან უყვარ-და იპერა და იტალიაში იყო შემთხ-ვევები, როცა (განსაკუთრებით "ნა-ბუქოს" მოსმენისას) ალელებული იტალიელები, პირდაპირ ოპერიდან მოდიოდნენ საბრძოლველად და რო-გორც ჩანს, რუსებმა, მათთვის საში-

ოპერის "მავნე" გავლენა ქართველებზე, როცა 1867 წლის 17 ოქტომბერს, გიმაზიის ქართველმა მონაფეებმა პირდაპირ პარტერში ააფრიალეს ქართული დროშები. თავად ბარიატინსკი იმან განარისხა, რომ გიმაზიელებს საერთოდ ეკრძალებოდათ თეატრში შესვლა და თეატრის ხელმძღვანელობა უმკაცრესად დასაჯეს. სინამდვილეში ეს იყო საბაბი, მიზეზი კი გახლავთ ნაციონალური გრძნობების კვლავ გამოლევიდება საქართველოში, რომელთა მისაძინებლადაც ააშენეს კიდეც რუსებმა ოპერის თეატრი თბილისში და შეცდნენ. მიხვდნენ, რომ შეცდნენ და საკუთარი შეცდომის გამოსწორებასაც შეეცადნენ - გადაწყვიტეს, თბილისის ოპერიდან იტალიელთა და ქართველთა გაყრა და თეატრის გადაკეთება მხოლოდ რუსული ოპერის ასპარეზად. დაითხოვეს კიდეც დასის შემადგენლობიდან იტალიელები და ქართველები. ქართველი მომღერალი ქალები ყველაზე ცუდ დღეში აღმოჩნდნენ - დირექტორ მურავიოვთანაც დაუშრივლიათ, გათხოვებითაც ჩვენ ვეღარ გავთხოვდებით და რაუნდა ვენათო. კაცები და განსაკუთრებით იტალიელები, ცოტა უკეთეს პირობებში იყვნენ - ბლოტამ და ტოლემ ყვავილების მაღაზიები გახსნეს, ასევე გაძევებულმა მომღერალმა ჯოზეფ ვოლლამ კი, იქვე, თამაშევის ქარვასლასთან, ქუდების შეკერვა დაინუყო (შესაძლოა "აეროპორტის" ტიპის ქუდები მოგვიანებით, სწორედ ვილლას მაღაზიაში იყიდებოდა). დირექტორ მურავიოვს არაფრის გაგონება არ სურდა - აკეთებდა იმას, რაც ნაბრძანები ჰქონდა და დირიჟორები - მილერი და ბარბერიც დაითხოვა. სასწოდოდ დაიწყეს რუსული დასის შექმნა, რომელსაც მხოლოდ რუსული რეპერტუარი უნდა ჰქონდა, ოპერა უნდა ყოფილიყო მაცრად და კატეგორიულად მხოლოდ რუსული. ჩქარობდნენ კი იმიტომ, რომ ოპერისა და კლასიკური მუსიკის მოთხოვნილება მართლაც უზარმაზარი იყო თბილისში და ამიტომაც წერდა მაშინ გაზეთი "კავკაზი": "იშვიათია ისეთი ოჯახი ტფილისში, სადაც არ იყოს როიალი ან ფორტეპიანო, იშვიათია ისეთი დედატფილისში, რომ არ ზრუნვადეს იმისათვის, რომ თავის შვილებს მუსიკალური განათლება მისცეს"...

დირიქურები და მომღერლები და ისევ ალადგინეს იტალიური ოპერები. ზედმეტი ბილეთის შოვნა ისევ პრობლემად იქცა ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ მცირე წარმატების მიღწევებმ, საკმაოდ გაამხნევა მაშინდელი ქართული საზოგადოება და ჭემარიტ ხელოვნებასთან ხელახლა ზიარებამ, კიდევ ერთხელ გაახსენა ქართველებს თავიანთი დაპყრობილი სამშობლო. რამდენადაც გახშირდა სიტყვა: "თავისუფლების" ხსენება თბილისში, იმდენად გაძლიერდა ცენზურა და გამკაცრდა ოპერაში მოხვედრის წესები - გიმაზიებისა და რეალური სასწავლებლების მონაფეებს, საბოლოოდ აუკრძალეს არათუ პარტერში, "გალიორკაზე" ჯდომაც კი. მაგრამ ცხელი გულები მხოლოდ ახლგაზრდებს არა ჰქონდათ მაშინდელს საქართველოში და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, მეფისინაცვალმა თეატრის დარბაზში საიდუმლო მიკროფონი დაადგმევინა მექანიკოს ბოჩარნიკოვს, რომლითაც მეფისინაცვლის სამუშაო კაბინეტიდან ყველაფერი ისმინებოდა, რაც სცენასა და პარტერში ხდებოდა. ამ ხაზის გაყვანისათვის (რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო იმდროინდელ მსოფლიოში) მექანიკოს ბოჩარნიკოვს, იმდროინდელი საზომით უზარმაზარი თანხა - 139 მანეთი და 72 კაბიკი გადაუხადეს, მაგრამ იმ პირობით, რომ საიდუმლოს არ გათქვამდა. ბოჩარნიკოვმა გონებაში რომ გადაინგარიშა, იმ თანხით რამდენი ბოთლი არყისა და ლვინის შეძენა შეეძლო, სიხარულისაგან დამუნჯდა, თუმცა დროებით. რესტორან "ევროპაში", რომელიც მუშტაიდის ბაღში იყო გახსნილი და რომელიც ქართველ თავად-აზნაურთა საყვარელ ადგილს წარმოადგენდა ლხინისა და თავშექცევისა, როცა უგონოდ მთვრალ მექანიკოსს სიმშევიდისაკენ მოუწოდეს, შეურაცხყოფილმა ბოჩარნიკოვმა ქართველი თავადები "დურაქებად" მოიხსენია და არგუმენტებს შორის თავისი ხელით აწყობილი საიდუმლო მავთული დაასახელა. მეფისინაცვლის მფარველობა იქ და იმ დროს, ვერაფერს უშველიდა მექანიკოს ბოჩარნიკოვს და გარდა ამისა, ინფორმაცია საიდუმლო მოსასმენი ხაზის შესახებ, პრესაშიც დაიბეჭდა. ალექსანდრე იორბელიანი თურმე, განსაკუთრებით ცხარობდა - ვამბობდი, ტყუილად რუსები ოპერას არ აგვიშენებენ და რატომ არ მიჯერებდითო. ოპერა კი მართლაც რუსების აშენებული იყო და მართლაც განსაზღვრული მიზნით, თუმცა მიზანი მიღწეული არ იყო და რუსებმაც ყველაზე ბარბაროსული, მაგრამ ყველაზე მარტივი გამოსავალი მოებნეს - ოპერა, რომელიც თვითონ ააშენეს, თვითონვე დაწვეს. რუსეთის ხელისუფლებამ 1874 წელს, თვითონვე დაწვა თბილისის იტალიური ოპერა - ულამაზესი თეატრის შენობა მთელ მსოფლიოში, რომელმაც ქართველებში სრულიად სხვა გრძნობები გააღვივა, განსხვავებით იმისაგან, რაც რუსებს ჩაფიქრებული ჰქონდათ და ამიტომაც დაწვეს. თუმცა იფიციალური ვერსიით, ხანძარი სრულიად შემთხვევით გაჩნდა ვაჭარლაზარევის დუქანში და შემდეგ ცეცხლი მთელ შენობას მოედო. შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ სწორედ წინა დღეს, შემთხვევით გაემგზავრა მეფისინაცვალი ბორჯომში, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მუდამ წყლით სავსე უზარმაზარი აუზი, რომელიც ოპერის წინ მდებარეობდა, სწორედ იმ საღამოს, შემთხვევით აღმოჩნდა წყლისგან სრულად დაცლილი. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ თეგესმეტი საათის მანძილზე, მეხანძრებებმა ვერ მოახერხეს თეატრის შენობა მდგრად მისვლა. არადა, თეკვსმეტი საათის განმავლობაში მთელი თბილისი, დიდიან-პატარიანად, ცდილობდა საყვარელი ოპერის გადარჩენას და თეკვსმეტი საათის მანძილზე, მტკვრიდან ვედროებით (სათლებით) ეზიდებოდნენ წყალს ხანძის ჩასაქრობად. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ თეატრის სახანძრო დაცვის უფროსი იაბლოჩინი, არათუ დააპატიმრეს, მოგვიანებით დააჯილდოვეს კიდეც. დააპატიმრეს მხოლოდ მედუქნე, რომელიც სასამართლო პროცესზე ჯიუტად იმეორებდა, რომ ცეცხლი აშეარად გაზრას გაჩნდა შენობაში და ეჭვმიტანილებად თავის კონკურენტებს ასახელებდა, თუმცა რასაკვირველია, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ხანძარი არათუ მეზობელ დუქნებში. პეტერბურგის უმნიშვნელოვანესა და უბრნყინვალეს სასახლეში დაიგეგმა. დაიგეგმა და განხორციელდა კიდეც - მიუხედავად თბილისელთა თავგანწირულ მცდელობისა, შენობა ისე დაიწვა, რომ მის აღდგენაზე ფიქრსაც კი აზრი არა ჰქონდა. აზრი არა ჰქონდა ცრემლსაც, მაგრამ ღმენათევი თბილისელები მაინც იდგნენ და ტიროდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად მაინც გრძნობდნენ, რომ იმ დღეს კიდევ ერთხელ დაკარგეს სამშობლო, სამშობლო, რომელიც, სხვათა შორის, ცეცხლსაც ჰქონდა ცგავს - მუდმივ გაღვივებასა და ყურადღებას საჭიროებს - ყურადღებას როგორც კი მოადუნებ, უბრალოდ ჩაქრება...

პერსონაჟები რომანისათვის



ოფიცერ მიხეილ მიქე-
ლაძეს თავისი პირმშო,
ირინა აუყვანია ხელში.
1914 წლის შემოდგომაა.
თვენახევრის დაწყებუ-
ლია პირველი მსოფლიო
ომი. გამოთხოვებისაა ეს
ფოტო, მასზე ისეთი რამ
არის დაფიქსირებული,
რაც მართლა მაგარ რო-
მანს დაანერინებს ფოლკ-
ნერივით კაცს - მკერდში
ჩაკვრა და სურნელებათა
დამახსოვრება. მამა ფო-
ტოს გადაღებიდან სულ
მალე წაიღებს ამ სახსო-
ვარს იმქვეყნად. შვილი
კი, უფრო ზუსტად მისი
კვალი, რევოლუციის
შემდეგ, ემიგრაციაში გა-
იელვებს პარიზში და მე-
რე სამუდამოდ გაქრება.

... იგი ამპობდა:

- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნიდოთ აატარას: ლოგინში რომ წვეპი, თუ წუთით მაიცე შეგიაყრობს ფიქრი, - სადღაც ვიღაცას სცენა, სადღაც ვიღაც ენატრეპა ლოგინი, სადღაც აავადებოდი ფრინველი კაცებალებს ჭურპის ქირას, ანდა ცხოველი ცეცუტუნით ილოპავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ.


რევაზ ინანიშვილი

www.24hours.ge

24

სახელმწიფო

ID



შემოდგომა

შოთა ხოდაშვილი

პაპამ ჩანურა ყურძენი,
ქვევრებში ბორგავს ტკბილი...
სახლი ჯაგნებით აივსო,
სხვენი – კაკლით და ხილით.

ბებომ სკივრებში შემალა
ჩურჩხელა, ტყლაპი, ჩირი...
აივანიდან გოგრების
ლაშქარი აფრქვევს ღიმილს.

შეშას ჩეხავენ ბიჭები
ყოველ სუსტიან დილით...
ჩამოსაგდებად ხმელ ფოთოლს
ჰყოფნის ნიავიც გრილი...

ვიცი, ცუგრია დამეძებს,
ხან სად დარბის და ხან სად...
ეჲ, ნეტავ, ახლა, ბუხრის ნინ
პაპას ჯორკოზე დამსვა!



ყოფილხარ თბილისის მთავარ ბაზარში?

თუ არ ყოფილხარ, სწორედ ახლაა იქ წასვლის დრო, -
შემოდგომაზე!

ჩაჰკიდე ხელი მამას, ან დედას, სულ ერთია, რომელი
გამოგყვება, მთავარია, ის სასწაული იხილო, ქალაქში შე-
მოდგომის სურნელის შემოსვლა რომ ჰქვია.

ჭირნაზულით დატვირთული გლეხები სისხამ დილით
ჩამოდიან თბილისში ავტობუსებით, მატარებლებით, ზო-
გიერთა – საკუთარი ავტომანქანითაც. უმეტესობა ბაზ-
რის შესასვლელშივე დაიცლის ხოლმე ხელს: აბარებენ ნა-
ხევარ ფასში აქაურ გადამყიდველებს თავიანთ ხორაგს.

იშვიათად ისეც ხდება, რომ გლეხი თვითონ დგება დახ-
ლთან: დაიხვავებს ნინ საკუთარი ხელით მოწეულ მოსა-
ვალს და ყიდის.

თუ გაგიმართლებს, შეიძლება შენც გადაეყარო მას
(სულ ერთია, ქალი იქნება, თუ კაცი) და დააკვირდი, რო-
გორ იქცევა, რანაირად ლაპარაკობს... კარგად დააკვირ-
დი!

ჩამოუარე დახუნდლულ დახლებს და შეისუნთქე
ლრმად, კიდევ და კიდევ!

თუ გინდა, შემოდგომა ნახო, ასე უნდა ქნა: მოინახულე
ბაზარი!

ბუნების საოცრებანი

ბუნების ფანტაზია ამოუწურავია. ცნობილია პეპელა - სფინქსი "შევდარი თავი", რომელსაც ზურგი აქვს გამოსახული ადამიანის თავის ქალა გადაჯვარდნებული ძვლებით, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში; იაპონური ცხრაფეხა კიბორჩხალა დორიავის ჯავშანზე აბბეჭდილია სამურაების პორტრეტი; იაპონური თევზის, სალინესის თავზე ეკო ტოკუგავას კლანის გერბი; თევზის, არცე პრისას, ფორმა და პოზა მთლიანად იმეორებს ჯვარცმულ ქრისტეს, ხოლო გამომგონებლობის ყველა რეკურდი მოხსნა ქაცვთავა თევზმა პოლავანტუსმა, რომლის კუდზეც ძველ არაბულ ერაზე ასეთი რამ იყითხება: "ლა იდლა ილ ალლა" (არ არსებობს ღმერთი ალაპის გარდა) და "შანი ალლა" (გემნოდეს ალაპის). თუ რა არის ამის მიზინი, ბუნებისმეტყველები, ჯერჯერობით, პასუხს ვერ იძლევია.

საბავშვო ჰაერბურთის რეკორდი

ცხრა წლის იტალიელმა გოგონამ მარინა გრანდმა მილანიდან გაფრინა საბავშვო ჰაერბურთი, რომელზეც მიამაგრა თავისი მისამართი. გოგონამ მიიღო ვარშავის ახლომდებარე სოფლიდნ პილონურ ენზე დანერილი წერილი. მარნას მიერ გაშვებულმა ჰაერბურთმა გადაიფრინა 1200 კილომეტრი.

მოუხელთებელი

დედამინაზე ყველაზე პატარა დცენარე არის ყვავილი ვოლფია, რომელსაც ძალზე პანაზინა ფოთლები, ლერო და ფესვები აქვს. ვიღლფია იშვიათად ხარის. ბოტანიკოსები პირდაპირ ჩადირიბენ ამ ყვავილის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ამაოდ.

ხე-ძროხა

არაჩვეულებრივი ძროხა-ხე ხარის ცეილონზე და მას "ავოკადო" ჰქვია. მისი ნაყოფი შეიცავს 40 პროცენტ ცენარეულ ცხიმებს და გემით ჰავას კარაქს. ნაყოფი მსხლისოდენა და ინობის 400 გრ. კალორიებით რომ ვინაგარიშოთ, თითო ნაყოფი უდრის ორ კერძს. ნაყოფის კანს იყენებენ სხვადასხვა სურნელოვნი ნივთიერებების დასამზადებლად. მისი გული შეიცავს სხვადასხვა ვიტამინებს და რენიას; ეს იშვიათი ხე საქართველოშიც გვხვდება.

ხე ინველის

სამხრეთ ამერიკაში, მდინარე ამაზონის აუზში, იზრდება ხე - სორვერია, რომელიც ინველის. საკმარისია, დანა გადაუსათერქებს და მაშინვე თეთრი, სქელი სითხის ნაკადი ნამოგა. გემოთი ეს სითხე ძალიან ნააგავს ძროხის რქეს, მაგრამ ოდნავ მომწნორა და ამიტომ აქაური მცხოვრებლები საკვბად არ იყენებდნენ, შეამანი ეგონათ.

ანალიზების შედეგად პოტანიკოსებმა დაადგინეს, რომ ქიმიური შემადგენლობითაც ძალიან ახლოს დგას ეს სითხე ძროხის რქესთან. საკმარისია მისი წყალთან შეზავება და მოდელება, რომ მომზარო გემი დაეკარგოს. ერთ ჯერზე ყველი ხე 4 ლიტრ რიცეს იძლევა. ცნობილია, აგრეთვე, რძის მეორე ხეც გალაქტოდენდრონი.



60 წელი უძილოდ

ესპანელ გლეხს ვისენტე მედინას თავისი 64 წლის ასაკში მხოლოდ 4 წლის განმავლობაში ეძინა, რადგან 4 წლიდან მას ძილი დაუკარგა. ექიმებმა, რომლებიც მულტის სიცოცხლის განმავლობაში მცურნალობდნენ ვისენტეს ყველა ცნობილი საძილე საშუალებებით, ვერ განუურნეს იგი უძილობისაგან. მოუხედავად ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ ვისენტე მედინამ, შეიძლება, ას წლამდე იცოცხლოს.

უცნაური წვიმა

1804 წელს - ესპანეთის ერთ კუთხეში, ძლიერი გრიგალის დროს, ციდან წამოვიდა ხორბლის წვიმა. ორი წლის შემდეგ გრიგალის დაფიქსირდა კიდევ უფრო უცნაური სანახაობა: ციდან მოულოდნელად ცვენა იწყო ზღვის კაბიებმა, რაც წახევარ საათს გაფრენდდა. ანალოგიურ მოვლენას სხვა დროს ადგილი ჰქონდა შოტლანდიაში, მაგრამ აյ კაბოების მაგივრად ჰაერიდან თევზებმა იწყეს ცვენა. აღმოჩნდა: ხორბლის წვიმი გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ჩრდილო აფრიკაში ძლიერ ქარიშხალს დაუნერებულ ჰყურის ბელლები, აუტაცია ხორბალი ჰაერში და გადაუტანა ძლიერ მანძილზე- ესპანეთში. პაერიდნ მინაზე თევზების ცვენას კი ძლიერი ქარიშხალს მოქმედება იწვევს, რომელიც ზოგჯერ ზღვებიდან წყალთან ერთად თევზებს ან კიბოებს ჰაერში ატყორცინის.

ფეხბურთელი სპილოები

ტაილანდის ქალაქ სურინდში სპირად ენცობა სპილოების ფეხტივალი, რომელზეც მახლობელი ქვეყნებიდან უამრავი სტუმარი ჩამოდის.

ფეხტივალზე იმართება სპილოების შეჯიბრი სირბილში, ხტომაში, ბაგირის გაწყვეტაში, სიმძიმეების ანევეში...

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სპილოების შეჯიბრი... ფეხბურთში.

მომღერალი ხოზმარიუსი

ყველაზე ხმოვანი მგალობელი ჩიტი ზარია, რომელიც ხოზმარიუსის სახელითაც არის ცნობილი. ის გვხვდება ბრაზილიის დიდ და გაუვალ ტყებში. როცა ცხელა და ყოველი ცოცხალი არსება დუმს, ეს პატარა, ბაშვისოდენა, ფერადურთებიანი ჩიტუნა ისე ტკბილად და სასიამოგნოდ ძლერის, თითქოს წერიალა ზარებს რეკავენო. მისი ხმა ისმის 3 კმ-ის მანძილზე.

არაჩვეულებრივი ნაპოვნი

ქალაქ ტურში, რომელიც ინდოეთის შტატ ასამის აღმოსავლეთ ნანილში მდებარეობს, სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს უზევეულო ზომის ადამიანის ჩონჩხი. მისი სიგრძე სამ მეტრია. ჩონჩხი ქვის სარეცელზე ესვენა და გვერდით ხის ნახმირი ენცობა.

ყველაზე პატარა თევზი

მსოფლიოში ყველაზე მცირებობით თევზად ითვლება პანდაკაბიგნეა. იგი აღმოჩნდილია ფილიპინების კუნძულების ტბებში. მისი

ევოტეს სკრიპტ



თმაგათათობული პალი რუსთაველის გამზირზე

(ფრაგმენტი მოთხოვიდან)



რევაზ ინანიშვილი

მაყვალა მრევლიშვილს

- ლექსები არ მიყვარს, - თქვა კარგად ჩატმულმა ლამაზმა ბანოვანმა და გამყიდველის მიერ შეთავაზებული პატარა ნიგნი ცივად გასწია უკან.

- მაშ, როგორ ზრდით ბავშვებს? - მოუბრუნდა თმაგათორებული სახემშვიდი ქალი.

- ძალიან კარგად.

- ლმერთი შეგენიოთ.

თმაგათორებულმა ქალმა ფახლზე დადებულ შავ ჩანთას პარკივით მოუკრა პირი, მკერდითან მიიხუტა, - მარცხენა

მხარეს, - და წავიდა. მიდიოდა რუსთაველის გამზირზე, ფეხებდალლილი, მაინც წელში გამართული, თითქოს ყველასა და ყველაფრისადმი გულგრილი, მხოლოდ ის მკერდზე მიხუტებული ჩანთა ეკავა მაგრად, უამრავ გამვლელთა ბორიალში გამორჩევით მესმოდა მისი ფეხსაცმელების დაბალი, მსხვილი ქუსლების პაკაპუი. ოქტომბერი იყო, მინაზებული ფერების თვე და მეჩვენებოდა, რომ იმ იაფფასიანი შავი ჩანთით ჩვენი ბავშვობის ლექსები მიჰენდა იმ ქალს. არც დაბჭდილი იყო ის ლექსები, არც ხელით გადაწერილი, პატარა თაგუნებივით თუ წინილებივით ისხდნენ - ყუჩად, ერთმანეთს

მიყუდებულნი და მხოლოდ ხანდახან აფუთფუტდებოდნენ რაღაცით შეწუხებულნი...

- იერემოს ლექსი თუ იციოთ?

- ვკითხე მე, - გოგი თურმანა-

ულმა რომ გამოაქვეყნა.

- აბა?

- ერთი საბრალო კაცი ყოფილა ფშავები - იერემო. დაღიოდა ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი, სხვების ხელებში შემყურე. რომ მოკვდა, სოფელმა დამარხა. მივიდა ერთი მოხუცი ქალი, დაიჩირქა და დატირა საფლავს:

"მაჰკვდია, ბეჩავო იერემო, დასდევა სილარიბის ჯოხი.

მიწანიმც დაილოცებიან, შიშველი დაგიმალნეს ხორცი".

ტროტუარის პირას ქვის სკამები იყო.

- დავსხდეთ ერთი წუთით. თითქოს სულის მოთქმას ველარ ახერხებდა.

- გამიმეორეთ კიდევ!

- გავუმეორე.

- კიდევ, რა!

კიდევ გავუმეორე.

- აუჟა! რა გიუჯ უნდა იყო, რომ ეგა თქვა! და გაიცინა, გაიცინა თითქოს სიმწარით, გაგრძელებით. მისმა სიცილმა უცებ წალეკა ათასი ბანოვანი (ტალლებში ირეოდა მათი შიშველი მხარმელავი), რომლებსაც ლექსები არ უყვარდათ...

ასახელა მრევლიშვილი

ასახელა

ბუხ-ბუხ!
ჭახ-ჭახ!
მაჭახელამ
მონადირე ასახელა.
იარაღში ჩამჯდარია,
ფეხს დაკრაგს და
ადის ბუქი!
აბა, ის რა ვაჟუაცია,
თუ იჯაბნის
ბატის ჭუკი!

კიკლი-კიკლი

კიკლი-კიკლი, კიბესა,
ყურცქვიტბის ციხესა
ბაჭიები სკუპიან,
მელა კბილებს ილესაგს:
- სტაფილო მაქვს ჩანთითო,
აქეთ ჩამობრძანდითო!
- არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!



ყვინჩილამ თქვა: ვსინჯავდი

ფერად-ფერად ნაყინებს.
გამიცივდა ჩიჩახვი,
წარამარა მაყივლებს.



საწყალი კურდღელი

ეს საწყალი კურდღელი
ძლიერ ავად გაგვიხდა,
არც სტაფილო ეამა,
ჩამოდნა და გაგვიხდა.

შუბლზე ტილო დავადეთ,
ამოვუგეთ საბანი,
კოვზით გადავაყლაპეთ
უებარი წამალი.

ახლა მალე მორჩები,
არ გაინძრე საბანში;
გელოდებით, უშენოდ
სულ არ გვინდა თამაში.



დაჭუქსვა

ვენახიდან გავაპრძანეთ -
ვაზებს კვერტდა
დიდი თხა!
გაიკვირვა დატუქსვა:
- მეე - ვჭამეო?! -
იკითხა.

ზღვის მგლები

“ყველაზე დამღუცველი გაფაფებაა სიხარუ, რაღაც იგი ადამიანს ართხევს გონიერას, აიდულებს რა - მიაგდოს საიმაზო საქმე და გამო-დევნოს არასაიმაზოს...”

ეზორა

“მეკობრე”, ანუ, ლათინურად - “Pirata”, ნარმოიშვა ბერძნული სიტყვისაგან “Peirates”, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: “ადამიანი, რომელიც თავის ბედნიერებას ზღვაზე დაეძებს”.

მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცემულ “სამხედრო ენციკლოპედიაში” მეკობრეობა განსაზღვრული იყო, როგორც “ძარცვა ზღვაზე, რომელსაც ახდენენ კერძო პირები სხვათა ქონების მიმართ”. ბოლო ხანებში ჩვენ მივერწიოთ კიდევ ერთ გამოთქმას: “საჰაერო მეკობრეობა”, - ასე ეძახიან მოვლენას, როცა ტერორისტები მძევლებიანად იტაცებენ თვითმფრინავს და გამოსასყიდს ითხოვენ.

საერთოდ, ითვლება, რომ მეკობრეობა ერთ-ერთი ყველაზე ძველი “პროფესია”, რომელიც ათასწლეულების მიღმა აღმოცენდა თითქმის მაშინვე, რაც ადამიანმა ზღვაოსნობას მოჰკიდა ხელი. ძველისძველი ტომები, რომლებიც ზღვისპირა სოფლებში ცხოვრობდნენ, გამუდმებით თავს ესხმოდნენ მეზობელთა ნავებს. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მეკობრეობაც ძალებს იკრებდა.

იმ დროს მეკობრეობა სასირცხვილო ხელობად როდი ითვლებოდა! პირიქით, მეკობრებს პატივს სცემდნენ და გმირებად სახავდნენ, რადგან მხოლოდ უშიშარ, გაბედულ ადამიანებს შეეძლოთ, თავდაუზოგავად შესულიყვნენ ზღვაში და სიცოცხლის ფასად მოეპოვებინათ სამდიდრე არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ თვის-ტომთაოვისაც.

ფრანგი მეკობრები, კორსარები, აგრეთვე, გერმანელი კაპერები და ინგლისელი პრივატირები, როგორც წესი, მხოლოდ უცხო ქვეყნის გემებსა აყაჩადებდნენ. მრავალი ქვეყნის ხელისუფლებას ესმოდა, რომ მეკობრეობით ზღაპრული შემოსავლის მიღება შეიძლებოდა. ამიტომაც დაიწყეს ამ საქმისათვის სპეციალურად ხალხის დაქირავება, რათა მთელი ალაფი უკლებლივ მიეთვისებინათ. ასე გაჩნდნენ რეიდერები, - დაქირავებული, ხელფასიანი მეკობრეები, რომელთა ძირითადი ამოცანა მტრის ხოლდთა ჩაძირვა და გა-




ნადგურება იყო.

რაც შეეხება ბაბუკანიერებს და ფლიბუსტერებს, - მათთვის სულ ერთი იყო, ვის დაესხმოდნენ თავს, მტერსა თუ მოყვარეს. ეს დაუნდობელი, სასტიკი ადამიანები განუჩევლად ხოცავდნენ დიდსა თუ პატარას, ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს.

იყო შემთხვევები, როცა ცუდად შეიარაღებული, უბრალო ნავით, მშიურ-მწყურვალ, გაღლეტილ ადამიანებს თავგანნირული, მოულოდნელი შეტევით ჩაუგდიათ ხელთ კარგად შეიარაღებული, ხალხით გადაჭედილი სავაჭრო ხომალდი, დაუტყვევებიათ მრავალრიცხოვანი ეკიპაჟი.

მეკობრის რომანტიკული სახე - საყურებაყრილი, ხისფეხიანი, უშიშარი და ბოროტი ადამიანი - უკვე მე-19 საუკუნეში გამოჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში. მეკობრეთა თავგადასავალი ყოველთვის დიდი ინტერესით იყიდებოდა. სინამდვილეში, მეკობრეთა უმრავლესობა შორს იყო იდეალისაგან. მათ კარგად ესმოდათ, რომ სიმდიდრის მოხვეჭისათვის საკუთარ სიცოცხლეს აგდებდნენ საფრთხეში. მაგრამ ასეთი ადამიანები ყველა დროში იბადებოდნენ. ამიტომაც მოაღნია დღევანდლამდე მეკობრეობამ, როგორც ხელობამ, თუმცა მის ნინააღმდეგ ყველა საზოგადოებაში მიმდინარებდა დაუნდობელი ბრძოლა.



პოლიკატ სამოსალი

“განცხომას უსათუოდ მივყავართ სიხარულესთან; სიხარულე და გაუშაულებრივ შემართებას ჰქალებს, რომლისგანაც მომდინარეობს ყოველგვარი პილირება და პოროფის ძალა...”
ციცერონი

კუნძული სამოსი მდებარეობს საბერძნეთში, ეგეოსის ზღვაში.

ანტიკურ ეპოქაში ამ კუნძულის სახელი შიშის ზარს სცემდა მეზობელ ქვეყნებს, სამოსელებს კი სიმდიდრე თავზე გადასდიოდათ. კუნძულს ამშვენებდა ქალმეროთ ჰერას მომნუსხველი ტაძარი, ქალაქში მოქმედებდა წყალკანალიზაციის უნიკალური სისტემა...

ყველაფერი ეს სამოსის ტირანის (მმართველის), პოლიკრატის მიზეზით ხდებოდა. ეს უშიშარი და დაუნდობელი კაცი, ახლა რომ მთელი ეგეოსის ზღვა ხელში ეჭირა, სანამ ტირანი გახდებოდა, უბრალო, მიუსაფარი მეკობრე გახლდათ.

პოლიკრატი საბერძნეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში, ათენში დაიბადა. მამამისი, სახელად აეკი, თავს მეკობრეობით ირჩენდა. იგი ხშირად გადიოდა ზღვაში საავაზაკოდ და, როცა პოლიკრატი წამოიზარდა, შვილიც თან გაიყოლა.

გაჭირვებამ და სიძნელეებმა, რომელიც თან ახლავს ზღვაზე ცხოვრებას, გამოაწროო მოზარდის სხეული, ძლიერი და მოქნილი გახადა იგი. აეკიც ამაყობდა ასეთი შვილით და მდიდარი გამოცდილებით დაგროვილი საზღვაო საქმის ყველა საიდუმლოება გაუზიარა პოლიკრატს.

მამა რომ გარდაიცვალა, პოლიკრატი თექვსმეტი წლის ვაჟები იყო. მან მამის საქმე გადაიბარა და რამდენიმე წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა სავაჭრო ფლოტილიებს. მაგრამ მეკობრეებს ყოველდღე როდი სწყალობდათ ბედი, - პოლიკრატის ხომალდი თვეობით დახეტიალობდა ზღვაზე უშედეგოდ, მსხვერპლი კი არა და არ ჩანდა.

პოლიკრატი მოძებნა გამოსავალი: მან ნავთსაყუდელად კუნძული სამოსი აირჩია, ჩამოიშორა ყველა მონინაალმდეგე და ერთპიროვნული მმართველი გახდა. ზღვაზე ნაშოვნი სიმდიდრე არ დაიშურა და სწრაფმავალი საბრძოლო ხომალდების მთელი ესკადრა ააშენა, რომელიც რისხვად დაატეხა ეგეოსის ზღვაზე მოძრავ ფლოტილიებს.

კუნძულ სამოსისენ მოედინებოდა ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყნის ოქრო-ვერცხლი და განძულობა. პოლიკრატის სახელი ყველას პირზე ეკერა.

პოლიკრატის პოსულარობა გულს უხეთქავდა ეგვიპტის მეფეს
- ამასისს.

